გაზეთ „ახალი განათლების“ მკითხველებს ემასოვრებათ თუ რატომ დანყო დროემოკა ჩემსა და გ. ყორანაშვილის შორის. პოლემიკა დაიწყო იმის გამო, რომ მან მე დამბარალა პლაკატიზში, კერძოდ კი ბრძანა, რომ მისი ნიგნიდან გადმოწმინერა ლია ჭავჭავაძის მკვლელობის ჩემს ნიგნიდან განხილული ახალი ვერსია. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თუ რომელიმე მკითხველი ჩემს ნიგნიდან (ლენინ იზორია „ლია ჭავჭავაძის მკვლელთა (ახალი ვერსია)“, თბ. 2009.) ნაწარმოებთა იმის მტკიცებას, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები იყვნენ: ლენინი, სტალინი, ნიკოლოზ II და პ. სტოლიპინი, გაზეთ „ახალი განათლების“ საშუალებით მას საჯაროდ მოუფლად ბოძოს, ხოლო თუ აღნიშნული არ დამიტკიცდება მაშინ კეთილი იწყებოს გ. ყორანაშვილმა და აქეთ მომიხალისო ბოდიშ ცილისგამებისათვის.

### ლევან იზორია

P.S. ჩემთვის სრულიად არ იქნება გასაკვირი, თუ გ. ყორანაშვილი ამ წერილსაც ცილისგამებლობაში ნათლავს და ჩემ მიერ განხილულ ნიგნიც გამოკლებული მის უსუსურ მოსაზრებებსაც ნიგნის კორექტორებს გადაბარებულს.



მოსწავლე გაეროკადაი

„ნარკოვალთა მხოლოდ სახელი“

ნარკოვალთა მხოლოდ სახელი

თემის ხელმძღვანელი ეპა მთინიძე

ყველა ჩვენი ნარკოვალთა მოვლევით... არაფერი იმაზე საბაჟო, რომ გვაქვს კარგი ფესვები, გვყავს სახელგანთქანი ნინარები და, როგორც სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებს, „კარგი ნერგის ხილი ხარ“.

ქვეყნად ყველაფერი წარმავალია სახელის გარდა. ამ ქვეყნობის ტემის არას ვასულ ზაფხულს ჩავენ ვედი, როცა მთელი მსოფლიო ომში დაღუპული ჩემი დიდი ბაბუის მძის შვილი ჩამოსაყვებს უკრაინიდან და სოფელ ავანში, მამა-პაპათა სასაფლაოზე, მშობლებისა და ახლობლების გვერდით დაკრძალვის ამბობენ, ამ ომმა ოთხასობითამდე ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე შეინარაო. ვინ იცის, სად განიადა მათი სხეულები, სად იქცნენ მინად? მათ შორის იყვნენ ჩემი ნინარებიც: დედის ბაბუა გერონტი გოგასაძე და მამის ბაბუის მძის შვილი გვირგვინი აბუთიძე. ჩვენს ოჯახში მათზე ბევრი მსმენია.

ომს რომ დიდი უბედურება მოექცეს, 2008 წლის 8 აგვისტოს დატრიალებულმა მოვლენებმა ცხადად დაგვანახა. ამიტომაც ომში ნასულნიც და სახლში დარჩენილებიც გმირებად მიმანჩია. დედის ბაბუა, გერონტი გოგასაძე, ომში რომ ნასულა, ორი მცირეწლოვანი შვილი დაუტოვებია. მის მეთულეს, თებრი არჩვაქეს ოჯახი არ ნაუქცევია, ქალიც ის ყოფილა ოჯახში და კაციც. უხნავს, უთხო-

ნია, უთბავს, მტერ-მოყვარეს დახვედრია და ობლები დაუხრდია. განა ეს გმირობა არ იყო? მას ომმა ქალობა ნაართვა, მამაკაცის ტვირთი წამოჰკიდა და ცალკულელს ანეგინა ცხოვრების ქაპანი. ერთ სვედიან ისტორიასაც ყვებიან ჩემს დიდ ბაბუასა და ბებიასთან დაკავშირებით.

თურმე გერონტი ბაბუა დაჭრილი ქუთაისის ჰოსპიტალში ყოფილა მოთავსებული. მომჯობინებულს მოუხერხებია ხმის მოწვევინა ოჯახისათვის. თებრი ბებიას რომ გაუგია, თავზე ნისქელის ქვა მოუხერხებინა, რაც სახლში მოუძებნებოდა, მოუგროვებია. სურსათ-სანოვაგით დატვირთულია და ნასულა მეთულეს სანახავად. მის ჩასვლამდე თურმე ბაბუა ჰოსპიტალიდან გამოუშვებია, ნაწილში დაუბრუნებიათ და მამისონის უღელტეხილის გავლით ფრნტზე გაუგზავნიათ. გზად ამბროლაურზე გამოუვლიათ, ღამე იქ უნდა გაეთითა. აულია უფროსისაგან ოჯახის მონახულების ნება. მასაც მიუცია დრო დილაშდევანიდან ღამე ყოფილა, მაგრამ არც წვიმას, არც ბურბუბის ტყეს არ შეუძნებია. ამოსულა სახლში. დედა და შვილები კი უხნავს, მაგრამ მის სანახავად ნასული მეთულე კი - ეერა, გზაში შემორებიან ერთმანეთს. გულდაწყვეტილი ნასულა. ნასულა და ნასულა... მისი აღარავის აღარაფერი გაუგია.

მეორე დღეს დაბრუნებულ თებრი ბებიას მეთულის უბედობასთან ერთად თავისიც დაუტვირებია. ატვალიტებულ მინაზე დარჩენილი მეთულის ნაკვალევისთვის ტამტი გადღაფარებია და მანამ ინახავდა თურმე, სანამ დრომ და ავდარმა არ ნაშალა. ასე ასწავლიდა შვილებს მამის სიყვარულს. ჯუმბერი ბაბუა ისე პატარა ყოფილა, რომ მხოლოდ ლანდად ახსოვს ღამით სახედრო

ფორმით მოსული კაცი. მერე თავის შვილს, ბიძაჩემს, დარქვა მამის სახელი და სიცოცხლე გავრძელდა.

ეს ამბავი რომ გავიგე, ძალიან შემეცოდა თებრი ბებიას, თან სიამაყე დასუფულა, როგორი სიყვარული შეძლებია! განა გმირობა არ იყო, რაც მან შეძლო, მაგრამ ამ გმირობაზე დიდი გმირობაც არსებულა, ისეთი, რომელიც მტერად ქვეყნის შემთხვევაშიც არ გვარავს, თუნდაც არ დაგრჩეს თამომავალი. ახლა ვიამბობ ამ გმირობაზე და იმბაზე, თუ როგორ დაუბრუნა სახლში მშობლებს მინას, დაღუპვიდან 66 წლის შემდეგ, ჩემი დედა ბაბუის მძის შვილი ვალერიან აბუთიძე. ის ამბროლაურის რაიონის სოფლებში: ავანში დაიბადა 1922 წელს. მამა თეგების გარდაცვლია, დედა კი საბი წლის ასაკში დატოვა. გაზარდა ბიძამ და ბიციანმა. დაამთავრა ამბროლაურის კუდაგოგური სასწავლებელი. 19 წლის ასაკში გაიწვიეს სამხედრო საკავალდებულო სამსახურში. ომის დაწყების პირველივე დღეებიდან ფრნტის წინა ხაზზეა. იყო სადაზვერუო ასეულის მეთაური. 23 წლის ასაკში ორი წითელი ვარსკლავის ორდენისა და სამხედრო მამაკაცებისთვის მედლის კავალერი. აღმწოდელმა ბიძამ ბიციანმა 1944 წლის 4 იანვრით დაეთარღვენილი მაღლობის წერილი მიიღო იმ ნაწილის მეთაურისაგან, სადაც ვალერიანი იბრძოდა. ნარდგენილი იყო გმირის ნოდებაზე, მაგრამ არ დასცალდა.

1944 წლის 22 იანვარს კიროვოგრადის რაიონის სოფელ ოქსანოვკას განთავსებულების დროს, მორსეა სადაზვერუო გასვლისას, მისი ასეული ლაყაში აღმოჩნდა. ძალათა თანაფარდობა შეუსაბამო იყო, მაგრამ მოუწე არ უნდა ჩაეარდნილიყო ამიტომ უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმის გადაწყვეტილება მიიღო და

დაიღუპა. ადგილობრივმა მოსახლეობამ მხოლოდ გვიან ღამით მოახერხა და ცხრილილი სხეულები სამშო სასაფლაოსთვის მიბარება. ისინი წლების შემდეგაც არ ივინწყებდნენ მათ ხსოვნას და საკადრის პატივს მიაგებდნენ მათი სოფლის განთავსებულებისა და მონახულებაზე ვერ შეძლეს არეული დროისა და უსახსრობის გამო.

გავიდა დრო. ცხოვრება გავრძელდა. სამშენებლო ობიექტის სამშორკველის ამოღებისას სამშო საფლაოე ვაიხსნა. ნაპოვნი ვიღოდო მის: მედლის მამაკაცისთვის და წითელი ვარსკლავის ორდენის მიხედვით მხარის ომში დაღუპულია ხსოვნის უკვდავყოფისა და პოლიტიკური რეპრესიების კომისიის პასუხისმგებელმა მდიანმა პ.პ. ფეცნიკოვს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივიდან მიიღო ინფორმაცია, რომ მათი მფლობელი იყო ვალერიან ნიკოლოზის ძე აბუთიძე. ეცნობა საქართველოს საელჩოს, რომელსაც ვეტერანთა დეპარტამენტის დახმარებით მოიძია ძირისფალი. უყოყმანოდ გადაწყვიტე ვაღმოსვენება. ყველა ხარჯი ვეტერანთა დეპარტამენტზე გაიღო.

ვალერიან აბუთიძის გადმოსვენება დაამთხვიეს სოფლისათვის დაღუპულია ხსოვნის დღეს, რომელსაც თურმე ყოველწლიურად აღნიშნავენ სოფელ ოქსანოვკაში. ათასზე მეტმა უკრაინელმა მოიდრიკა მუხლი გმირის კუბოსთან. საპატიო ყარაულის თანხლებითა და მხედრული პატივით მოხდა თვითმფრინავის ტრაზე ნემტის შესვენება. თვითმფრინავი თბილისში დაემის პირველ საათზე დაეშვა. ვეტე-

რანთა საქმის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად ნათესავებიც ელოდნენ. ჩვენ სახლს ვამზებდით და ქვეყნის თადარიგი გვქონდა. ის ხომ ჩვენს ფუძეზე იყო აღზრდილი.

ნიკოლოზის ტაძარში აუგეს ნესი, მერე რამდენიმე საათით დაასვენეს ჩვენს სახლში, სადაც დაიბადა და გაიზარდა. შემდეგ გადასვენეს აკრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. საპატიო ყარაულები იყვნენ თვადაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. დაიქმნა დაგეგმვით მხარისა და რაიონის ხელმძღვანელები, ვეტე-რანთა საქმის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, აფხაზეთის ომის მონაწილენი. ვინც კი სიცოცხლის დასი იცის, ყველამ გულწრფელად დაიტირა. ნემტის საფლავში ჩაშვება მოხდა მებრძოლის სხევის საპატივცემული რიტუალით - საპატიო ყარაულები და სამხედრო ზაღობით. მოსვენდა ტრანკლამ სულაბა, მინაც თავისას თხოვდა. აღბათ, აქ დაკრძალულებსაც იგრძნეს შვეება, რადგან მონმოსულელის ღოდინში შემოვლილამ.

ვალერიან აბუთიძეს მხოლოდ სახელმა და მისი გმირობის დამაფასებელმა თამომავლობამ შეაძლებინა დაღუპვიდან 66 წლის შემდეგ საპატივცემული დაბრუნება. ესეც ხომ ბედისწერაა. ჩვენს სამშობლოს არა ჰყავს დასაკარგო შვილები. ასეთი პატივისცემა მხოლოდ ქართველებს უცვიალია.

გმირთა სახელობე უკვალოდ არ ქრებთან. მათ ღირსეულ პატივს მიაგებს ღირსეული შთამომავლობა. სახელი არის ის, რაც დროს ამარცხებს და ის, რაც დაეინწყების წყვდიადიდან გვიხსნის. ამიტომ უნდა ვეცადოთ, ასახელო შე სწარდილობდა წყლისა პირსა სამე დავრ-

ვე, კახეთი

ხორბლის ყანა, ოქროს ყანა, მზე მინად რამ ჩაიყვანა? ნორჩი ვაზი, ოპ, რა უხვი, რა ლაბაზი! დიდი თუთა, შვიი თუთა, სიციხისაგან გაითუთა, ვრცელი ველი, მწვანე ველი, საოცნებო, სანატრული. დიდნი მთანი, ლურჯნი მთანი, დაბლა ვერცხლი - ალაზანი. გატოტილი, წერილი ტანი, ლოყა ბაუშვისა - ატამი. ახამამებს ზეცა თვალებს, დაიყოფებს ცას და დღევ: ქედი მთათა, ვაჭვი ხეთა, მზე ყანაში ჩაიღვენათ. არ გავქვს ბოლო შე, კახეთო, ოთხივ მხარეს რომ გახედო!



მიწიდა არაბული დაბადა სოფელ გომბორში, საგარეჯოს რაიონში, 1994 წლის 23 იანვარს, სწავლობს X კლასში, 4 წლისამ ისწავლა კითხვა და მაშინვე დაიწყო პირველი ლექსი. მიწიდა ხატავს, ძერწავს, ბევრს კითხულობს, უყვარს XX საუკუნის პოეზია, მოსწონს ლიტერატურა და ბიოლოგია. მიზანმიზნულ ლიტერატურულ მარაგონებსა და კონფერენციებში... უყვარს თავისი კუთხე და მეგობრები. როდესაც მიწიდას ლექსებსა და ფილოსოფიური ხასიათის მცირე ფორმების ჩანახატებს კითხულობ, გრძობს, რომ ეს შინაა, შეიძლება შენ უნდა გეთქვა სწორედ ეს სიტყვები...

როდესაც ზამთარს გაუვა წყალი

როდესაც ზამთარს გაუვა წყალი თოვლს შეინოვენ თეთრი გორები, დამომბებული და ნაადრადი, მინა დაინყებს ახალ ცხოვრებას.

ეიბის სუნი აუვა ჰაერს, შევიგრძნობ სითბოს სხეულით უცებ, აქვე უქულოდ გავიდე გარეთ, უხადი კვირტი ვიპოვე ხუნჩხე.

როდესაც ზამთარს გაუვა წყალი, თავს დაანებებს ცა თვლემას ხანგრძლივს, ვინმე ტანმსხვილი, ბებერი ქალი კვლავ აიკიდებს ტომარა ღანძილს.

შეთთვრებული ზეცა გალურჯდა, მეც სისარულის ფინი მედებდა, ჰაერს სიძღერა ძვლებში გაუჯდა და ხუთ საათზე აღარ ბნელდება.

როდესაც ზამთარს გაუვა წყალი თავის დაჭერა მე მეძნელება, ანდა რად უნდა ვიკავო თავი, მე ვგაზაფხულობ, მეძნელება!

თავილისი პაზარი

ადუღდა ბაზარი, აეთო ბაზარი, ნოხების ფერებით, დოქების ზანზარი. თავლი და ბადაგი, ღვინო და მჭარდი, მყიდველებს ბარაქა! - გასძახის ვაჭარი. თათარი მუსტაფა მწვანილებს ალაგებს და გააქვთ ყაყინი თბილისელ დალაქებს. მსხვილ-მსხვილი ქალბები სურნელებს ყიდაინ. - დაცალთ ყანწები, რაც უფრო დიდია! ქუდები, ქოშები, დანა და ხანჯალი, ქოშინი, ქოშინი, ბაზარი, ბაზარი. აქ დროც აღარ მიდის - სომეხს ვეაჭრება. - იყიდეთ, იყიდეთ, ქამრები, ხანჯლები! აქაფად ფაილა და ყვირის ვაჭარი, - იყიდეთ იაფად თბილისის ბაზარი.

საღამოს სოფელი

საღამოს სოფელი, ზვიგებად გამხმარი ბალახი. არასწორ შარავე ქუჭყია, ლავია, ტალახი. მესამე დღეა რაც, წვიმებად, წვიმებად, წვიმებად, უწყვეტივ ცის წყალი მინაზე ნემსებად იღვრება. თუნუქის ფანჯიან, მოშავო, მოწყენილ სახურავს, მესამე დღეა, რაც საღამოს ნისლები ახურავს. გზაზე ჩქეფს, ჩუხჩუხებს, წვიმების პატარა რუები, ჭადრები, ალვები, გზის პირს, სველები, ყრუები. მორიდან მოისმის მწყემსების გაბმული ძახილი, ნელ-ნელა, ნელ-ნელა, სოფელში შემოდის ნახირი. აქა-იქ, შარავე მოთბების ბლაგვის ხმები, მესამე დღეა, რაც, გზის პირს ჭადრები ხმებიან. მორთოვარე წვეთებით ტირან ფანჯრების მინები, მესამე დღეა, რაც ღრუბლები, წვიმები, წვიმები...





## საგანმანათლებლო ქარაზი

# თბილისის თბილისის კეთილმოზილთა სსსავლეხელი

დასაწყისი №19-20

ამიერკავკასიაში მეფის ხელი-სუფლებას 30 წლის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი სასწავლებელი ჰქონდა. ეს იყო თბილისის კეთილმოზილთა სასწავლებელი. აქ ერთმანეთს ეცნობოდნენ და უახლოვდებოდნენ არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი (ქართველები, კახელები, იმერლები და სხვ.), არამედ საქართველოს და ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნებთანაა მოზარდი თაობის წარმომადგენლებიც (ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები), რაც ხელს უწყობდა მათში ერთგული სოლიდარობის განმტკიცებას.

1803 წლის 27 ივლისს მეფისათვის წარდგენილ მოხსენებაში ციციანოვი სკოლის გახსნას იმით ასაბუთებდა, რომ რუსული ენის ცოდნა აუცილებელია იმ მხარეში, სადაც სამართლის წარმოება ამ ენაზე მიმდინარეობს, არ გვაყავს თარგმანები, ხოლო ადგილობრივი თავადგენიანობა იმდენად უფიციოა, რომ წესისაყრის მიზნით რუსულ ენაზედაც ვერ შეტყვევდები.

თბილისის კეთილმოზილთა სასწავლებელში ხელმძღვანელებად და მასწავლებლებად ყოფილან აგრეთვე ჰუმანიური და მონინავი დადიანებიც: 1826 წელს ამ სკოლის დირექტორად დაუნიშნავეთ განათლებული პედაგოგი ვ. მანასკინი, რომელსაც სკოლაში მონაწილეთა ფიზიკური დასჯა აღუკვეთია. და ყოფიანი მანასკინის შესახებ აღნიშნა: „...ყურების ან თმების მოწვევა, სახაზავით ცემა, დანოკება, ან სხეულის სხვაგვარი სასჯელი მანასკინის ყოფნის დროს გულში გასავლელადაც შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, ბავშვებიც არასდროს არ ყოფილან ისეთი კეთილმოზილნი და არასოდეს ისე კარგად არ შეუცნიათ ვადმინაცემი, როგორც მის დროს...“ მანასკინი მთავრობში მალე გადაიკეცა პეტერბურგში - სასწავლო კომიტეტში. და ყოფიანი კეთილმოზილნი და მონაწილეთა მონასკინი მანასკინი მანასკინებსა და თვითონ სკოლის აგრეთვე, მანასკინის შემდეგ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებად დანიშნულ წტ. დემენტიევს. მაგრამ ასეთი ჰუმანიური მასწავლებლები და ხელმძღვანელები იმ დროს იშვიათი გამოჩენილის შედეგად იყვნენ.

მონაწილთა სკოლას გაუბრძოდა, განსაკუთრებით ათიან წლებში, როდესაც საქართველოში შავი ქორი მიძინებოდა. ამიტომ სკოლის ხელმძღვანელთა ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს წავსან მონაწილთა სკოლაში მოყვანა შედეგად, მაზრისა და გუბერნიის მთელი სახელმწიფო აპარატის გამოყენების საშუალებით.

მართალია, თბილისის კეთილმოზილთა სასწავლებელი საქართველოს მართლი არისტოკრატის შეიღებულნი იყო დარსწრებით, მაგრამ აქ ბოლომდე იყვნენ წერილი აზნაურობისა და მდაბიოთაგან გამოსული შეიღებუნი.

ქართული ენაზე ქართული გრამატიკა, საღეთო სჯული, რიტორიკა და ლოგიკა ისწავლებოდა მხოლოდ, დანარჩენი საგნების სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. 1818 წელს თბილისის კეთილმოზილთა სასწავლებელი კოხი კლასისაგან შედგებოდა.

1819 წლიდან ახალი საგნების შემოღება დაიწყო, ხოლო შემდეგ წლებში ეს სპეციალური საგნები შეეკრე კლასში გადაუტანიათ. შეიღებუნი ითქვას, რომ ამ ახალი საგნების შემოღებით, 1819 წლიდან, თბილისის კეთილმოზილთა სასწავლებელს მიეცა პრაქტიკული მიზანდასახულობა: სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელეთა მომზადებისათვის ხელის შეწყობა. ზოგენი კმაყოფილი იყო რეორგანიზაციის შედეგებით: „სასწავლებელი წლითწლით გაუმჯობესდა სწავლითა და სწავლების წესებით; უმეტეს ყოველწლიურად რამდენიმე ახალგაზრდას, საკმაოდ განათლებულს სამოქალაქო და სამხედრო სამსახურისათვის“.



ქართული ენას, თბილისის ამ პირველ რუსულ სასწავლებელში, საკმაოდ საბატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. როდესაც ელისუს სულთანმა ახმეტა თაბის შვილი ამირანი მძევლად თბილისს გამოგზავნა და თანახმად სულთანის თხოვნისა, ის სკოლაში მიიბარეს სახაზინო ხარჯზე, გუდოვიჩმა საქართველოს მმართველს ლიტერატურის წინადადება მისცა, ესწავლებინათ მისთვის რუსული და ქართული წერა-კითხვა.

ეს სასწავლებელი მთავრობამ საქართველოს თავადაზნაურული ახალგაზრდობის „გასაწარმოებლად“, ნამდვილად კი მოხელეთა მოსამზადებლად გახსნა.

სასწავლებელში მთავარი ყურადღება რუსული ენის შესწავლა და საგნების რუსულ ენაზე სწავლას ექცეოდა, მაგრამ ამავე დროს საგრძნობი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ქართული ენის შესწავლას, რომლითაც რამდენიმე საგანიც ისწავლებოდა. საერთოდ, თბილისის კეთილმოზილთა სასწავლებელი, ისე როგორც ცარიზმის ყველა სასწავლებელი ჩვენში, რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების ემსახურებოდა. მაგრამ ამ სასწავლებლის არსებობის მანძილზე, სკოლის ეს ამოცანა არ იყო ისეთი უხეში და საგრძნობი, როგორც შემდეგში გახდა. აქ გამოიზარდა ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის პირველი თაობა, რომელთაგან მრავალნი რუსული ენისა და ადგილობრივი პირობების ემსახურებოდნენ.

აქვე მიიღეს დაწყებითი განათლება შემდეგში ჩვენმა ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა - გრ. ორბელიანმა, ვახტანგ ორბელიანმა, დმიტრი ყოფიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სხვებმა. ამ სასწავლებელში ერთმანეთს ეცნობოდნენ და უახლოვდებოდნენ არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი, არამედ საქართველოს და ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა ახალგაზრდები, რასაც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.



წლის მინურულში გაიხსნა თელავში, გორში, ქუთაისში, სამეგრელოში - სოფელ ნოოლავეში; მომდევნო წლებში - თბილისში, ღუშეთში და ახალციხეში.

ორკლასიანი სამაზრო სასწავლებელი, ორი წლის კურსით, ვერც გიმნაზიისათვის ამზადებდა მონაწილეთა კონტინენტს და არც სამაზროისათვის იყვნენ კურსდამთავრებულნი შესაფერად მომზადებულნი; მთავარმართველ რუსეთის პროექტით, 1835 წლიდან, სამაზრო სასწავლებლებში სამწლიანი კურსი იქნა შემოღებული და გაძლიერდა ადგილობრივი ენების სწავლება.

ამიერიდან სამაზრო სასწავლებლებში ისწავლებოდა საღეთო სჯული, რუსული გრამატიკა, გეოგრაფია, ისტორია, არითმეტიკა, დანერგებითი გეომეტრია, სუფთა მ ენა, ხატვა, ზაზვა და ადგილობრივი ენები. ადგილობრივი ენებიდან ისწავლებოდა: თბილისში - ქართული, სომხურში, თათრულში; ღუშეთში, გორში, ქუთაისში, თელავსა და სიღნაღში - ქართული და სომხური; ახალციხეში და ამიერკავკასიის დანარჩენი სამაზრო სასწავლებლებში - თათრული და სომხური.

სამეგრელოში თუმცა ხალხური ენა მეგრულია, მაგრამ, რადგან მას მწერლობა არა აქვს, - ნათქვამია მწერლობაში, - აქაურ სასწავლებლებში ისწავლება ქართული, დიდი ხნისა და აქ შემოღებული. თბილისის სამაზრო სასწავლებელში, რომლის კურსდამთავრებულთაგან ბევრი გიმნაზიის III-IV კლასში შედიოდა, გარდა სამი ადგილობრივი ენისა, ფრანგული და გერმანული ენებიც ისწავლებოდა. ასე რომ, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულნი ექვს ენაში აქვთ ცოდნა შეფასებული.

რა თქმა უნდა, 10-15 წლის ყმანვილების ადგენი ენის შესწავლით დატვირთვა არაუბედურად იყო და უშედეგო, მაგრამ ხელისუფლებამ ამ შემთხვევაშიც ხელმძღვანელობდა არა იმით, რომ ახალგაზრდობა გასანათლებლად საჭირო ცოდნით შეიარაღებინა, არამედ ვინორ - უტოლიტარული მიზნებით: მას სახელმწიფო აპარატისათვის რუსულ ენასთან ერთად, აგილობრივი ენების მცოდნე მოხელეები - განსაკუთრებით თავჯდომეები სჭირდებოდა. „სასწავლებელთა უფროსებს ევალებათ ნააქვონ რუსი მოხელეთა შვილები ადგილობრივი ენების, უპირატესად თათრულის, მეტად საუფელოან შესწავლაში“ - ვკითხულობთ 1835 წლის დებულებაში ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ ეხმარებოდა ქართველი საზოგადოების მონინავი ნაწილი ლაზარევის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტნი ზაქარია ყორღანოვი. ადგილობრივი თავადაზნაურობის დაზარაობით და მონაწილეთა მიხედვით სასწავლებლებში გამოიქ-

ვამდნენ შიშს, რომ ადგილობრივი ენების ერთგული შეზღუდვის შემთხვევებს არ გამოენჯია სათანადო რეაქცია მოხლებში. მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული პირობის მიერ გამოთქმული მოსაზრება იყო, ზოგჯერ შესაძლოა თვით სკოლის გამგის განწყობილებით გამოწვეული.

60-იან წლებამდე ჩვენ ვერ ვხვდებით ქართველი მონინავი პირებისა, სა თუ რომელიმე ორგანიზაციის რაიმე მნიშვნელოვან გამოხმაურებას, მიმართულს ქართული ენის დასაცავად სასწავლებლებში, ან სწავლის მშობლიურ ენაზე წასაწავლებლად. ამ საკითხის შესახებ ხმა პირველად იკ. ერესელიძის „ცისკარმა“ ამიოლო. ურნალოში რამდენიმე წერილია მოთავსებული მისი წინააღმდეგობისა და ინტელექტუალური გადაგარების შესახებ. თერგდალეული ქუთაისის წმინდა ნინოს სასელობის სასწავლებლის მონაწილეთა შესახებ წერს: „...ერთი საზოგადო შენიშვნა უნდა მივსცეთ განათლებულ ქალებს: თქვენ რომ ქართულად ელაპარაკებოდით, ის პასუხს გაიგებს ყოველთვის რუსულად (აიხ, დიდი მოსწონია, ვთქვამ) მაგრამ ნაწესდის სიტყვის გამო ურგეს ქართულს, აი, ამრიგად: ეი ბოლ, კი მართალია; მოვაგულსტა ნაი; ია ნენავიუთ შენ; ეტორას ნიმნავს; მენ ნე ნრაიგისა ძალიან; ზარემ ვაბუფუელი ტი დღეს და სხვა მრავალნი...“

ამგვარადვე აყენებს საკითხს დიმი. ჯვანავილი წერილში - „საქორთო ამჟამად თხზულებანი ინერგობდნენ ქართულს ენაზედ, თუ არა“. „...ეს სამოცდა სამი წელიწადია, რაც ჩვენს რუსების მთავრობებს ჰქვამთ, მტერი აღარ გვაწინააღმდეგობდნენ, მაგრამ ჩვენში არაფერი ცვლილებები არ მოუხდენია განათლებას. არამც თუ ცოდნა - ვერც კი გაგვიცია, არის სადმე განათლება თუ არა... რა სწავლაა ისა, რომ ყმანვილი კითხოვდნენ და არც ვეყურება. სწავლა ცოდნას უჭედა. ჩვენი ქართველი ყმანვილების სწავლა და ცოდნა მაშინ დაიწყება, როდესაც ისინი რუსულს ენის სწავლას იმდენად, რომ ამ ენაზე ნაკითხული წიგნი გაიგონ. მაშასადამე, ჩვენების განათლება სკოლაში მიყვანის დღიდან არ დაიწყება. გაეკანაოთხი წელიწადი, ყმანვილი სწავლობს, მაგრამ არაფერი კი არ ვეყურება იმ სწავლისა, რადგან ვერ რუსულ ენას სწავლობს და ვიდრე ისწავლდეს, იმისი გული ციფდება სწავლაზე... საქორთო წიგნები ქართულად ინერგობდნენ“.

აქაც, თუმცა არა გარკვევით, მაგრამ ისაზრია გატარებული, რომ დაწყებითი სწავლა საგნებისა მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებოდეს.

ამგვარი იყო დამოკიდებულება ქართული ენის სწავლებისათვის საზოგადოების მონინავი ნაწილი ინტელექტუალური იმ ჯგუფისა, რომელიც „ცისკარს“ გარშემო იყრიდა თავს.

უფრო ენერგული ბრძოლა ქართული ენის უფლებების დასაცავად სასწავლებლებში „დროებამ“ გააჩაღა.

მთავრად ანა ფირცხვალაიშვილი



სკოლის ფსიქოლოგთა დასახარებლად

ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებანი



რუბრიკას უძღვება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი მეთეშან თაბარაძე

დასაწყისი ნი. №17, 18, 20

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ სიმპტომებს, რომლებიც ბავშვის განვითარების სერიოზულ პრობლემებზე მიუთითებენ:
- ჩვეული საქმიანობებისადმი ინტერესის დაკარგვა;
- აკვიატებული აზრები კვების, დიეტის და ნონის შესახებ;
- თვითდაზიანებები ან ხშირი საუბრები სიკვდილზე, თვითმკვლელობაზე;
- ტყუილები და სახლიდან წივების მოპარვის შემთხვევები;
- აუტისტის მდგარობა, ხანგრძლივი ემოციური რეაქციები.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა მონარდი ყველა ტესტს სწორად ასრულებს, მაგრამ ჩანოვთილითაგან თუნდაც ერთი სიმპტომი აღენიშნება, აუცილებლად უნდა მიმართო ფსიქოლოგს.

ბავშვის განვითარების გარდამავალი დარღვევები ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD)

ეს სინდრომი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და პრობლემატურია ბავშვთა და მოზარდთა განვითარებაში. კვლევების თანახმად, ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიურობის სინდრომი აღენიშნება ბავშვების 3-10%-ს, ამათგან 3-4-ჯერ უფრო ხშირია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში.

ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

- მაღალი აქტიურობა;
• ყურადღების დარღვევა;
• იმპულსურობა.

მაღალი აქტიურობა გულისხმობს:

- ერთ ადგილზე ვერ ისვენებს;
• გაკვეთილზე დადის;
• ბუერს დარბის;
• არ შეუძლია წყნარად თამაში, მუშაობა;
• ყოველთვის მოძრაობს;
• ბუერს ლაპარაკობს.

ყურადღების დარღვევა გულისხმობს:

- არა ჩართული გაკვეთილის პროცესში;
• არ ამითარებს დავალებებს;
• არ შეუძლია დაგეგმვა;
• არ შეუძლია მობოლიზება;
• წივთებს კარგავს;
• ყურადღება ეფანტება.

იმპულსურობა გულისხმობს:

- უძნელდება დაელოდოს თავის რიგს;
• აკეთებს, მერე ფიქრობს;

- სწრაფად პასუხობს;
• სხვებს სიტყვას აწყვეტინებს;
• ხშირად ხელს უშლის სხვებს.

ჰიპერაქტიური ბავშვს არ შეუძლია დასახული ამოცანის შესრულება, ხშირი მიმართულების არჩევა. იგი დეზორგანიზებულია, არ შეუძლია ინსტრუქციებისა და დავალებების დასრულება. ადვილად გადადებოდა ვარგე ბგერებსა თუ მხედველობით სტიმულაციებზე, რომელთა იგნორირებას მისი თანატოლები იოლად ახერხებენ.

ამ სინდრომის მქონე ბავშვი ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, მუდმივად მოძრაობს, მოუსვენარია, ხელს სტაცებს სხვადასხვა ნივთებს, ალტებს კარადის ან მაგიდის უჯრებს, ვერ ახერხებს ფილმის ბოლომდე ყურებას, ზღაპრის ბოლომდე მოსმენას, კიდურებს მუდმივად ამოძრავებს. ხშირად ბუერს და დაუფიქრებლად ლაპარაკობს, თანატოლებს ვერ ეწყობა, მოზრდილებსაგან მუდმივად საყვედურებს იღებს. ხშირი მენიშვნების გამო დაზარალებულია თვითშეფასება. შედეგად კი ჩნდება სიმარბე, აგრესია გარემომცველთა მიმართ.

ჰიპერაქტიურობა, ასაკთან ერთად სუსტდება, თუმცა სიმპტომები რჩება - იმპულსურობა, სხვა აქტიურობაზე ადვილად გადადრთვა, იმპულსურობა. ზრდასრულ ასაკში ჰიპერაქტიურობა გრძელდება 30-50% შემთხვევაში და ხშირია სოციალიზაციის პრობლემები - ალკოჰოლიზმი, ქურდობა, მანქანის მართვისას ხშირი დარღვევები.

აღსანიშნავია, რომ გოგონებში უფრო ხშირად გვხვდება ყურადღების დეფიციტის სინდრომი ჰიპერაქტიურობის გარეშე.

დიაგნოსტიკა

ჰიპერაქტიურობის ადაპტირებული ობიექტური საზომი არ არსებობს. დიაგნოსტიკისას აქცენტი ექიდება იმაზე, თუ როგორ იქცევა ბავშვი გაკვეთილებზე, მეგობრებთან, სახლში, გამოკვლევის დროს. იმისათვის, რომ ბავშვის მოუსვენრობა ჰიპერაქტიურობად ჩაითვალოს, მიღებულია, რომ დამახასიათებელი სიმპტომები (უყურადღებობა, მაღალი აქტიურობა, იმპულსურობა) 7 წლის ასაკამდე უნდა გამოვლინდეს, 6 თვის მანძილზე უნდა იყოს დამახასიათებელი და ხელს უნდა უშლიდეს ბავშვს ადაპტიაციას.

დიაგნოსტიკური კრიტერიუმები

თუ ბავშვი ადრე „სხვაანარი იყო“ და რაღაც პერიოდიდან შეიცვალა, ჰიპერაქტიურობა უნდა გამოვლინდეს.

- უნდა ექვემდებარებოდეს:
• ოჯახური პრობლემები;
• სასკოლო პრობლემები;
• ჯანმრთელობის პრობლემები.

სიმპტომები, რომელთა მიხედვითაც ხდება ბავშვთა ჰიპერაქტიურობის დიაგნოსტიკა:

I ჯგუფის სიმპტომები:

- 1. ბავშვი ხშირად ყურადღებას არ აქცევს დეტალებს, დავალების შესრულებისას ბუერ შემთხვევით შეცდომას უშვებს;
2. მას არ შეუძლია კონცენტრირება მოახდინოს დავალებაზე ან თამაშზე, რომელიც ხანგრძლივ ყურადღებას საჭიროებს;

- 3. ხშირად არ უშენს, როცა მას მიმართავენ;
4. ბავშვი არ მისდევს მიცემულ მითითებებს, არ ამითარებს დახეხილ საქმინობას;
5. ხშირად არაორგანიზებული და არამომბოლიზებულია;
6. ხშირად თავს არიდებს ან უარს ამბობს ისეთი დავალებების შესრულებაზე, რომლებიც ყურადღებას და გონებრივ დაძაბვას საჭიროებენ;
7. ხშირად ერევა ცხრილი, ავიწყდება სკოლაში მიტანის საჭირო ნივთები, რვეულები, წიგნები;
8. ბავშვი ადვილად გადადრთვება დავალების შესრულებიდან სხვა მოქმედებაზე, ყველაფერზე რეაგირებს, რაც მის გარემოში ხდება;
9. ხშირად ავიწყდება ყოველდღიური პროცედურების შესრულება (მაგალითად, პირადი ჰიგიენის დაკვა).

II ჯგუფის სიმპტომები:

- 1. ბავშვი ხშირად და ნერვიულად ამორაგებს ხელ-ფეხს, სკამზე წრიალებს;
2. გაკვეთილებზე ხშირად დგება და საკლასო ოთახში დადის;
3. ბუერს და უაზროდ დარბის, ადის მაღალ საგნებსა და ობიექტებზე (ხეები, ღობები, ბოძები და ა.შ.);
4. სრულიად არ შეუძლია წყნარად თამაში;
5. ბავშვი ისე იქცევა, თითქოს მოტრონი აქვს მიმაგრებული („ბზიკი შეუყვება“);
6. ძალიან ბუერს ლაპარაკობს;
7. ხშირად ნაჩქარევად და დაუფიქრებლად პასუხობს, კითხვის დასრულებას არ ელოდება;
8. არ შეუძლია რიგში დგომა და მშვიდობა დალოდება;
9. ხშირად უნებართვოდ ეჭრება მოზრდილების საუბარში ან სხვა ბავშვების თამაშში.

თუკი ბავშვს აღმოაჩნდება:

6 სიმპტომი I ჯგუფიდან + 3 სიმპტომი II ჯგუფიდან - მას შეიძლება დაესვა დიაგნოზი:

ADHD (Attention Deficit Hyperactive Disorder) - ყურადღების დეფიციტი ჰიპერაქტიურობის ქვლემებით.

თუკი ბავშვს აღმოაჩნდება:

მხოლოდ 6 სიმპტომი I ჯგუფიდან - მას შეიძლება დაესვა დიაგნოზი:

ADD (Attention Deficit Disorder) - ყურადღების დეფიციტი ჰიპერაქტიურობის ქვლემების გარეშე.

მკურნალობის პროგრამა

- ქვეითი თერაპია (კოგნიტურ-ქვეითი, თვითრეგულაციის უნარები);
• მედიკამენტები;
• კომბინირებული მკურნალობა მედიკამენტებით და ქვეითი თერაპიით;
• სიმპტომის კონსულტაცია, მისი და მისი ოჯახის წევრების გარკვევა ჰიპერაქტიურობაში;
• მშობლების დახმარება;
• სწავლის ჩვეულების ფორმირება.

საცივიკური სტრატეგიები:

- დაჯილდოების სისტემა;
- „შესვენებები“;
- ქვეითი მოდელირება;
- პოზიტიური, კონსტრუქციული განწყობები;

- სპორტული აქტიუობა (განსაკუთრებით სირბილი).

საცივიკისტების მიერ შემუშავებულია ერთგვარი „სასწრაფო დახმარების“ სისტემა ჰიპერაქტიური ბავშვთან მუშაობისას. მისი მთავარი პოსტულატებია:

- ბავშვის ყურადღების გადატანა კამრიზებიდან სხვა ობიექტზე;
• სახლში მკაფიო დღის განრიგის დაცვა;
• არჩევანის შეთავაზება (მოცემულ მომენტში სხვა შესაძლო საქმიანობა);
• მოულოდნელი შეკითხვის დასმა;
• ბავშვისთვის მოულოდნელი ფორმით რეაგირება (გახუმრება, ბავშვის მოქმედებების გამოვრება);
• აკრძალვის კატეგორიული ფორმისაგან თავის შეკვეება;
• თხოვნა, ბრძანების ნაცვლად;
• ბავშვის სურვილების ყურადღებით მოსმენა;
• თხოვნის მრავალჯერადად, ერთი და იმავე სიტყვებით, ნეიტრალური ტონით გამოვრება;
• ბავშვისთვის ფოტოს გადაღება ან სარკესთან მიყვანა იმ ობიექტში, როცა ჭირვეულობს;
• ოთახში მარტო დატოვება (თუ ეს მისი მიზანშეღებობისთვის უსაფრთხოა);
• ნორტიკების კითხვისაგან თავის მისი მიმართ და რეგულარულ შექებას საჭიროებენ;

რეკომენდაციები მშობლებისთვის

- მოანსერივეთ დღის და კვირის რეჟიმი (განსაკუთრებით ძნელია პარსკევის დღის მუორ ნახევარი და შაბათი საღამო, აგრეთვე არდადეგების პირველი და ბოლო დღეები) და ამა თუ იმ დავალების შესრულება დაგეგმეთ გარკვეული საათისთვის;
• დააფინეთ ქვეყნის მკაფიო ნესე-ოჯახის ყველა წევრისთვის;
• თავი შეიკავეთ ლანდისგან (ღმრდელისთვის ეს ნიშნავს იფიქრი, სანამ იტყფოდო; ლაპარაკის ნაცვლად, იმომქედო; ბავშვის მცირე „დანიშნულები“ ყურადღება არ მიაქციოთ;
• თავი აარიდეთ უსარგებლო დისკუსიებს;
• მოელოპარაკეთ ბავშვს იმის შესახებ, რის გაკეთება აუცილებელი და რომ ეს ყოველთვის უნდა შესრულდეს. წინასწარ შეთანხმებით შექებას და დასჯის ზომებზე;
• დასჯა გამოიყენეთ უშუალოდ მომხდარის შემდეგ და ისე, რომ ბავშვისთვის გასაგები იყოს, რით არის ეს გამოწვეული. თუმცა, უმჯობესია, თუ ბავშვი შეიგრძობს მისი არასწორი საქცილის ბუნებრივ შედეგებს;
• შეაქეთ! აღნიშნეთ კარგი საქციელი, თუნდაც უმნიშვნელო! შექება არ უნდა შეიცავდეს ფარულ გათკაცებას: „შესანიშნავია! როცა გინდა, ყველაფერი გამოგდის!“;
• ავარჯიშეთ ბავშვი თვითკონტროლში. ამისათვის მან ხმაშალო ან გულში უნდა თქვას, რასაც აკეთებს;
• შესაძლებლობა მიეცეთ, ბუერი იმობროს და ითამაშოს. თამაშებში მშობლებიც უნდა მონაწილეობდნენ;

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:

- ჰიპერაქტიური ბავშვებს განსაკუთრებული სიძნელეები აქვთ სკოლაში, რომელთა დაძლევა დიდადა დამოკიდებული მასწავლებელზე. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ამგვარ ბავშვებს ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროებათ.
• მკაცრად, მაგრამ კეთილგანწყობილად უხელმძღვანელებთ ბავშვს. გარკვეული პედაგოგიური ხაზის გატარებისას გამოავლინეთ აუცილებელი თანმიმდევრობა. იმავდროულად, სადაც შესაძლებელია, მზად იყავით მიმტყველებლისთვის. თუ ბავშვი გრძობს, რომ მისგან კარგად არანა განწყობილი, იცინა მისი სიძნელეების შესახებ და დახმარება სურთ, ბუერი მისთვის არასა-სიაშიგნო სიტუაციის დაძლევა;
• მუდმივად გამოავლინეთ ბავშვის მიმართ ყურადღება და შეკვეტი. ჰიპერაქტიური ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარები არიან შექებაზე. ბავშვს მისი მიმართ და რეგულარულ შექებას საჭიროებენ;
• გამოირჩეთ ზედმეტი გამოიზიანებლები. თუ ბავშვს დასაგამ მასწავლებელთან რაც შეიძლება ახლო, წყნარი მოსწავლის გვერდით და მერსი მისობლად აუცილებელი ნივთებს დაუტოვებთ, უკეთ შეასრულებს საშუალოს;
• გამოიყენეთ პირდაპირი სხეულბუეები და მხედველობითი კონტაქტი. თავზე ხელი გადაუხვით, მასთან ახლოს დადგეთ და მხარზე დადეთ ხელი;
• დავალებები მომცრო ეტაპებად დაყავით, მოახდინეთ სასწავლო პროცესის სტრუქტურირება. მოკლე დავალებები დიდ გონებრივ დაძაბვას არ მოითხოვს და ბავშვი უკეთ აჩვენებს, რა შეუძლია;
• ბავშვს ემინია, რომ დავალებას ვერ შეასრულებს. ამიტომ, ხშირად დაეხმარეთ ხოლმე;
• მიეცით ბავშვს მოძრაობის საშუალება, მაგ.: დაფა გაასუფთავოს, მოსწავლეებს რვეულები დაურიგოს;
• მოამინით მოეკიდეთ შენელებულიობა და დავალების მიცემისას გაითვალისწინეთ ეს თავისებურება, მაგალითად: შეამოკლეთ დავალებები, რომელსაც კლასში ან სახლში აძლებთ; რამდენჯერმე ხმაშალო, მკაფიოდ ნაიკითხეთ ამოცანის პირობა (მათემატიკაში), რათა ბავშვებმა, რომლებსაც კითხვის სიძნელეები აქვთ, პირობა გაიგონ;
• დაბოლოს, გამოავლინეთ უსაზღვრო მოთმინება. არც ერთ ბავშვს არ უნდა წარუმატებლობა, დასჯა, შენიშვნები. არც ერთ ბავშვს არ უნდა, იყოს ცუდი. იცოდეთ, რომ ბავშვები თვითონ იტანჯებიან თავიანთი დარღვევების გამო.

გარკველება იუნგა

# რაიმონ არონი ქართულად

90-იანი წლების დასაწყისი, საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვან ნიშანს ეტყობა გვევლინება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიტიკის წერტილი დაესვა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ შევებით ამოიკუსთა. მან დაიბრუნა სუვერენობა და ახლა შეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს პოსტსაბჭოურ სივრცეში ნათელ სხივს წარმოადგენდა. მაგრამ თავისუფალი აზროვნების დამკვიდრება სულაც არ აღმოჩნდა ადვილი. თავი იჩინა სოციალურმა პრობლემებმა. მოხდა მეცნიერების კომერციალიზაცია. ფუნდამენტურ მეცნიერულ გამოკვლევებზე მოთხოვნილებამ იკლო. სამაგიეროდ მკვეთრად გაიზარდა პოპულარული თემების მნიშვნელობა. ყველაფერი ეს აფერხებდა მოპოვებული იდეური თავისუფლების რეალიზაციას.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი მდგომარეობის ერთმნიშვნელოვნად შეფასება ძალიან ძნელია (უკიდურესობებს უნდა ვერიდოთ). ერთი მხრივ, კრიზისი მკვეთრად გამოკვეთილ ლეტალურ, ანუ სასიკვდილო ხასიათს ატარებს, რაც კონსერვატიული დარგების, პარტიის ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის და სხვების გაქრობაში გამოიხატა. მეორე მხრივ, ეს შეიძლება შეფასდეს როგორც ზრდის კრიზისი, რაც უშთავ-

რესად იმით გამოიხატება, რომ ქართველი ისტორიკოსები ცდილობენ გამოიხატონ ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი; ქართული ისტორიოგრაფია უფრო მრავალფეროვანი ხდება. ეს კი საინტერესოა. ამ რთული ვითარებიდან ერთ-ერთ რეალურ გამოსავლად ევროპული ისტორიოგრაფიის პოზიტიური გამოცდილების გათვალისწინება გვესახება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ფრანგული ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნების მეტრის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, **რაიმონ არონის** საინტერესო თხზულებების „მშვიდობა და ომი ერებს შორის“ ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ამ საპირველ საქმის ინიციატორები არიან: ნიგინის რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გიორგი სანიკიძე**.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქართული საზოგადოება რაიმონ არონის სახელს ან არ იცნობდა, ან მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის წყალობით, უშთავრესად, ნეგატიურად უყურებდა. თუმცა, XX საუკუნის ფრანგულ ისტორიულ-ფილოსოფიურ აზროვნებაში რაიმონ არონი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი და კოლორიტული ფიგურაა. მის მეცნიერულ ინტერესებში ცენტრალური ადგილი უჭირავს ისტორიის ფილოსოფიის და პოლიტიკოლოგიის სა-

კითხვებს. რაიმონ არონის ერთ-ერთი ნაშრომის – „მშვიდობა და ომი ერებს შორის“ თარგმნა. XX საუკუნის ევროპული ისტორიოგრაფიის პოზიტიური გამოცდილების ათვისების თვალსაზრისით, სერიოზული ნინგადგმული ნაბიჯია და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მივაჩნობ. მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად მას ძალიან დიდი შეცვლენითი დატვირთვა აქვს და ფართო საზოგადოებას გააცნობს ევროპული ისტორიოგრაფიის საუკეთესო მიღწევებსა და წარმომადგენლებს. ასეთი შრომები ძალიან დაგვეხმარება, თავი დავანოთ დღემდარევი აზროვნებას, გავცდეთ მარქსისტული და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებს. რაიმონ არონის წიგნი XX საუკუნის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო, რთულ და აქტუალურ საკითხს ეხება. ესაა მშვიდობა და ომი ერებს შორის. ამ ნაშრომში ფრანგული ისტორიული ფილოსოფიური აზროვნების მეტრი წარმოადგება, როგორც პოლიტიკოლოგი, საერთაშორისო სამართალში ჩახედული მკვლევარი.

რაიმონ არონის წიგნი შედგება შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან, თან ახლავს დასკვნა. პირველი ნაწილი, პირობით, ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. ავტორი აქ განიხილავს კონცეფციებს და სისტემებს: პირველი მონაკვეთი – სტრატეგია და დიპლომატია, ანუ საგარეო პო-

ლიტიკის ერთიანობის შესახებ; ძლიერება და ძალა, ანუ საგარეო პოლიტიკის საშუალებები; ძლიერება, დიდება და იფება, ანუ საგარეო პოლიტიკის მიზნები. მეორე მონაკვეთი – საერთაშორისო სისტემები; მრავალპოლუსიანი და ბიპოლუსიანი სისტემები; მშვიდობისა და ომის დიალექტიკა.

მეორე ნაწილი: სოციოლოგია – დეტერმინანტები და კანონზომიერებანი. ეს მონაკვეთი შედგება შესავლისა და ექვსი ნაწილისაგან. აქ განხილული თემები ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი – სივრცის, რაოდენობისა და რუსუსების შესახებ; მეორე – ხალხები და რელიგია, ჩამოყალიბების ნესრისი ძიება, სამართი სულსკვეთების ინსტიტუტების სათავეები.

მესამე ნაწილი – ისტორია. მას არონი ასე ასათაურებს „მსოფლიო სისტემს თერმობირთვულ ხანაში“. ის, პირობით, ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. აქ საუბარია შემდეგ თემებზე: დასრულებული სახის სამყარო, ანუ მსოფლიო სისტემის პეტეროგენეზობა; შეკავების სტრატეგები; დიდი მშენი, ანუ დიპლომატია ბლოკებს შიგნით. ამით სრულდება პირველი ნაწილი და იწყება მეორე, რომელშიც ავტორი ეხება შემდეგ საკითხებს: საყაიმო პარტიები ევროპაში, ანუ ურთიერთობა ბლოკებს შორის; დარწმუნება და ძირგამომთხრელი საქმიანობა, ანუ ბლოკები და მიუმხრობელი ქვეყნები; მტერი მშენი.

მეთხე ნაწილს ეწოდება პრაქ-

სეოლოგია – დიპლომატიურ-სტრატეგიული ქცევის ანტიანტიპეტი. განხილულია რამდენიმე თემა: მორალისა და სტრატეგიის ძიება; ძლიერი პოლიტიკის მიღმა.

წიგნი სრულდება თებით – რაციონალური სტრატეგია და გონიერული პოლიტიკა. საბოლოო შენიშვნები კი, ფაქტობრივად, დასკვნის ფუნქციას ასრულებს.

რაიმონ არონის წიგნს მძლავრი ანალიტიკური მუხტი აქვს, რაც უპირატესად იმით გამოიხატება, რომ ის საინტერესოდ საუბრობს ამ რთულ პრობლემებზე. აქვს აღნიშნული თემების საკუთარი ხედვა და რთული პრობლემის გადაწყვეტის მისეულ ვერსიას გთავაზობს. წიგნის მეცნიერული ფასელობაც სწორედ ამასია.

არონი არა მარტო ძლიერი ანალიტიკოსია, არამედ ძალიან კარგი მთხრობელიცაა, რაც მისი წიგნის კიდევ ერთი ღირსებაა და, ჩემი აზრით, წიგნის მთარგმნელის, პროფესორ გიორგი სანიკიძის დამსახურებაა.

ფიფრით, სასურველი იყო, წიგნს დართული ჰქონოდა მცირე შესავალი, სადაც უკლებლივ იქნებოდა განხილული რაიმონ არონის აღნიშნული თხზულება. ამას დიდი მეცნიერული და შემეცნებითი ევროპაში, ანუ ურთიერთობა ბლოკებს შორის; დარწმუნება და ძირგამომთხრელი საქმიანობა, ანუ ბლოკები და მიუმხრობელი ქვეყნები; მტერი მშენი.

მეთხე ნაწილს ეწოდება პრაქ-

მერაპ კალანდიაძე

## „საქართველო არის ესა“



ლიტერატურული მუზეუმის მცირე სცენაზე 182-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **არჩილ ჩხაიძე**) ღონისძიება „საქართველო არის ესა“ გაიმართა, რომელიც მოამზადა სკოლის ორგანიზატორმა **ანა გაჩეჩილაძემ**. მოსწავლეები დიდი მონდომებითა და ერთგულებით მოეკიდნენ მზადების პროცესს და ერთი თვის შრომის შედეგი ამგვან სკოლის პედაგოგებსა და მოწვეულ სტუმრებს: **ნანა კვიციანიამ, გიორგი ამიერჯიბამ, მარიამ გურჩიანამ, თამარ ფიცხელაურამ, ევა ქორიანიამ, ტატი უზლაძემ, აკაკი ვაჩიშვილამ, ელენე სუხაშვილმა, ლევან ფარქვანიამ, თინათინ აბესაძემ, თეატრკრამელომ, სალომე ჭიჭიჭიძემ, სანდრო ილიერაძემ, ანა გორგაძემ, ანა გაფინაძემ, ანა მარიამ აბესაძემ, თათია გოგოჭურამ, მადეა დიდიმავალი, დავით დაუთაშვილმა; მგალობელთა გუნდმა (ხელმძღვანელი – **თამუნა ძამაშვილი**) მარიამ დათუნაშვილის, ანა ანდლე-**

ლადის, **სოფო ფიროსმანაშვილის, თამუნა და ნუგზარ ფეიქრიაშვილების, თამუნა სუსანიას, ბარბარე ჭიჭიანიას** შემადგენლობით; ფოლკლორული ნომრები **მადონა კალაძის** ხელმძღვანელობით წარმოადგინეს: **გიორგი დინოშვილმა, გიორგი ხელაშვილმა** და **ლევან ბაიაძემ**. ღონისძიება „შენ ხარ ევანგილი“ დანერგა. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო ღონისძიების ისტორია, ფარნავაზთან დედმდე, გაიხსენეს საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენების გზაზე. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ქართველთა ისტორიულ მესხიერებას საქართველოს უძველეს მხედრულ-მშობლოდ ფარნავაზის სახელი შემორჩა. უთუოდ იმიტომ, რომ განუზომად დიდი იყო მისი ღვაწლი, მშობლიური ქვეყნისა და ერის წინაშე. ქართველმა ხალხმა პირველი მეფის (ცხოვრების ისტორია, ალბათ, მის სიცოცხლეშივე ლეგენდების სამოხელში გაახვიდა.

ნორჩ მომღერალთა მიერ შესრულებული „მადლეკოს“ ფონეტი მიმდინარეობდა ქართულად მფრთხილად – მეფე მირიანთან მოცოდებული თემურაზ II-მდე. მოსწავლეებმა მხატვრულად ნაიკითხეს ქართველი პოეტების ცნობილი თქმულებები: „შენ ხარ ევანგილი“, „შვი თქვენ არაგველებო“ და სხვ. განსაკუთრებით ამაღლებული იყო ღონისძიების მეორე ნაწილი, რომელიც დავითო საქართველოს ისტორიის მიმოიხილავს 1917 წლიდან – დღემდე. მოსწავლეებმა 1956 წლის სისხლანი 9 მარტი და 1989 წლის 9 აპრილი გაიხსენეს. აღინიშნა, რომ 9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. საინტერესო იყო სლავდმუო რუსული აგრესიის შესახებ. აზგაზეთისა და ოსეთის კადრებმა სავალბოლის ფონზე ჩაიარა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკო-

ლების დირექტორები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, სკოლის დირექტორმა, არჩილ ჩხაიძემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და სკოლის ერთი წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა. სამი წელია, 182-ე საჯარო სკოლამ ტრადიციად იქცა წლის საუკეთესო მოსწავლის დასახელება. მარმონაფენი წლის საუკეთესო მოსწავლე **ნანა როსტომია** ერთი წლის განმავლობაში აშშ-ს კალიფორნიის შტატში სწავლავდა. არჩილ ჩხაიძემ მიმდინარე წლის საუკეთესო მოსწავლე დაასახელა – **მადეა დიდიმავალი**. ღონისძიებაზე მინეულმა სტუმარმა **კახა გურულმა** წლის საუკეთესო მოსწავლის ტიტულის მფლობელს 100 ლარი გადასცა. ჯილდოს სახით წმინდა ნინოს ხატი გადაეცა სკოლის ოქროს მედალოსანსა და ეროვნულ ოლიმპიადებში საუკეთესო ათულეტი მუსეთე ადგილის მფლობელს **ნიკო მიშვილ**. 21-ე სკოლის დირექტორმა, **მისხელ ლომიძემ** სივრცითა და სა-

მასობრივ წიგნებით დაავიღო, ასევე, სასკოლო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში გამარჯვებული მოსწავლეები: **ანი ლავიანიანი, სალომე ნოზაძე, ნათია სოფურაშვილი, გიორგი ბოჭორიანი, ეთერ ყარაულაშვილი, რუსუდანი ფარაჯანაშვილი, მარიამ ჩუბინიძე და ხატია ბერიძე**. სკოლის დირექციის გადამწყვეტილებით, ფულადი პრემიით (100 ლარით) დაავიღოვეს გეოგრაფიის მასწავლებელი, ქალბატონი **ანა ერიაშვილი**, როგორც ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეების პედაგოგი. ეს ჯილდო ქალბატონ ანას ისან-სამპროის რაიონის პედაგოგთა პროფკავშირების თავმჯდომარე **გულელა გიმრიძემ** გადასცა, პედაგოგიურ კოლექტივს კი საქსკურსიოდ ფულადი პრემია გადაეცა. ღონისძიება საქართველოს ჰიმნით დასრულდა.

60678 სახარაილიძე




### გამომცემლობა „დიოგანე“ წარმოგიდგინებთ


### ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (2010/2011 სასწავლო წელი)



**ქართული ენა და ლიტერატურა V**  
ლ. თუშური  
მ. ინასარიძე  
ნ. შარაშენიძე  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი



**გუნება V**  
ლ. ბურდილაძე  
ლ. თევზაძე  
ხ. ადიკაშვილი  
ქ. მალრაძე  
ქ. ტატიშვილი  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი



**ხელოვნება V**  
ნ. კუნჭულია  
მ. მესხაშვილი  
ნ. მიქაბერიძე  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი  
მოსწავლის რვეული



**რუსული ენა III**  
მ. რევია  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი



**მუსიკა V**  
ქ. ცაგარელი  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი



**ფიზიკური აღზრდა V**  
ლ. აფციაური  
მ. ტულუში  
მასწავლებლის წიგნი




**ფიზიკა VIII**  
ქ. ტატიშვილი  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი



**ფიზიკა XI**  
ქ. ტატიშვილი  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი



**ქიმია XI**  
ლ. თევზაძე  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი



**ქართული ენა და ლიტერატურა XI**  
ნ. მუზაშვილი  
ნ. ჩუბინიძე  
ნ. შარაშენიძე  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი




**ქართული ენა და ლიტერატურა XI**  
თ. ვასაძე  
ნ. შარაშენიძე  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი



**ქიმია XII**  
ნ. ჯავახიშვილი  
მოსწავლის წიგნი  
მასწავლებლის წიგნი

**დაწვრილებით ინფორმაციას ამ სახელმძღვანელოების შესახებ „ახალი განათლების“ ვებგვერდზე ნომერში შემოგთავაზებთ**



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტბალაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.  
www.axaligantleba.ge E-mail: axaligantleba@gmail.com, ganatleba@mail.ru  
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ცენტრის მისამართი: 76096  
გაზეთი რეგისტრირებულია დიფუზიის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქციის მისამართი: ცენტრის რედაქციის მისამართი: 76096

რედაქციის რეკვიზიტები:  
საქართველოს პარლამენტი  
ზ/კ 220101502,  
ს/კ 202058735,  
ა/ა 123631000